



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი ანგარიში უმაღლესი
განათლების პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი პროგრამა)
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

2018 წლის 24-25 ივლისი

ანგარიშის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) საინფორმაციო პროფილი

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი შპს
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საინფორმაციო პროფილი

პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი პროგრამა)
განათლების საფეხური	მეორე
მინიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ოლვინ ვესტვუდი ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიკოლოზ გვაზავა (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის შესახებ დასკვნის შეჯამება

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა დაიწყო 2013 წლის აგვისტოში და ის წარმოადგენს 6 წლიან პროგრამას აკადემიური ხარისხის მინიჭებით; კურსდამთავრებულების პირველ ნაკადს ის გამოუშვებს 2019 წელს. სამედიცინო ხარისხის მინიჭების ქართულ ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის გარდა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) შესაბამისობას სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს აკრედიტაციის სტანდარტებთან. სამედიცინო ფაკულტეტმა გულდასმით მიიღო რჩევები როგორც საქართველოში მოღვაწე განათლების სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტებისგან, ისე მინესოტას (აშშ) და მიუნხენის (გერმანია) დამოუკიდებელი კონსულტანტებისგან. საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობენ ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე, რათა ნებისმიერი ცვლილების შესახებ თავისი რეკომენდაცია შესთავაზონ. ფაკულტეტის წევრებთან განხილვის პროცესში გამოჩნდა, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ აღწერდა პროგრამას და მიუთითებდა იმაზე, რომ ის იყო, პირველ რიგში, „ტრადიციული“ სამეცნიერო პროგრამა და შემდეგ-შემდგომი წლების კლინიკური სწავლის დოკუმენტი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ვიზიტად მყოფი ჯგუფის წევრებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, რა თქმა უნდა, ინტეგრირებული იყო და გამოავლინა აკადემიური და კლინიკური პროგრესი მტკიცებულებით კლინიკურ სწავლებასთან და სიმულატორების გამოყენებით კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები კლინიკურ მომზადებას გადიან იმ კლინიკებში, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები და სადაც ისინი გადიან სავალდებულო სწავლების პროცესსა და პრაქტიკას როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ისწავლება 6 წლის განმავლობაში და ის შედგება 360 კრედიტისგან, რომელთაგან 330 კრედიტი არის სავალდებულო და 30 კრედიტს ირჩევს სტუდენტი. პარალელურად, ქართულ ენაზე ისწავლება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, რომლის კურიკულუმი და შეფასებები იდენტურია. ამ პარალელური

სწავლების სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისური პროგრამის სტუდენტებს სთავაზობენ ქართულენოვან პროგრამას, რაც მათ დაეხმარება როგორც თავიანთ ქართველ თანატოლებთან ინტეგრაციაში, ისე თავიანთ კლინიკურ ზედამხედველებთან და პაციენტებთან კომუნიკაციაში. ის, რომ ეს პროგრამა ინგლისურ ენაზე ისწავლება, იმას ნიშნავს, რომ მათ წვდომა აქვთ საერთაშორისო დონეზე არსებულ სასწავლო რესურსებზე. თუმცა, უნივერსიტეტი გეომედი ძირითადად სასწავლო უნივერსიტეტია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვიზიტად მყოფი ჯგუფის წევრები დაარწმუნა იმაში, რომ უზრუნველყოფილია წვდომა სამედიცინო სფეროში კვლევასა და განათლებაზე, რადგან კვლევის მეთოდების კურსი სავალდებულოა. ამიტომ, სტუდენტებს უნდა შეეძლოთ პრაქტიკაში მტკიცებულებაზე დამყარებული მიდგომის ქონა.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვიზიტად მყოფმა ჯგუფმა შეძლო შეხვედროდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, შემდეგს:

- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის უფროს მმართველ გუნდს
- სამედიცინო ფაკულტეტის უმაღლესი თანამდებობის პირებს და აფილირებულ პროფესორებს (დეკანს, პროგრამების ხელმძღვანელს)
- აფილირებულ პერსონალს, კლინიკურ პედაგოგებს, მოწვეულ პერსონალს
- კოლეგებს, ბიბლიოთეკაზე, ფინანსებსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე, შეფასებასა და სტუდენტების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ პირებს
- გეომედის კურსდამთავრებულების დამსაქმებლებს

ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევხვდით შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სამედიცინო ფაკულტეტისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსდამთავრებულებს, რადგან პირველი გამოშვება სწავლას 2019 წლამდე არ დაასრულებს, თუმცა, ჩვენ შევძელით შეხვედროდით სამედიცინო ფაკულტეტის ამჟამინდელ სტუდენტებს და სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებს, რათა მიგველო ინფორმაცია სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გუნდი აგრეთვე კმაყოფილი დარჩა იმ სასწავლო საშუალებების ხილვით, რომლებიც ხელმისაწვდომია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ტერიტორიაზე. შედგა ვიზიტი რეგიონულ საავადმყოფოში, რომელიც უზრუნველყოფს მრავალპროფილიან კლინიკურ განათლებას და სადაც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები გადიან კლინიკურ მომზადებას. ამ კლინიკაში ჩვენ ვნახეთ კარგად აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორია და დიდი აუდიტორია/საკონფერენციო დარბაზი, რომელსაც უნივერსიტეტი გეომედი იყენებს. ჩვენ აგრეთვე მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბევრი მკურნალი ექიმი არის უნივერსიტეტი გეომედის აფილირებული პროფესორი და რომ სტუდენტებს სთავაზობენ დამისთევის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როცა ისინი სამედიცინო მომსახურებას არასამუშაო საათებში ეწევიან.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

უნივერსიტეტი გეომედის სამედიცინო პროგრამა, რომელიც ისწავლება ინგლისურ ენაზე, იზიდავს უცხოელ სტუდენტებს ინდოეთიდან და ნიგერიიდან. როგორც ჩანს, ყველა დაინტერესებულ მხარეს, ანუ სტუდენტებს, აკადემიკოსებს, კლინიკებში განათლების გარე მიმწოდებლებს შორის კარგი ურთიერთობა არსებობს. რაც შეეხება საქართველოში მოქმედ ყველა სამედიცინო პროგრამას, მიმდინარეობს მუშაობა, რათა ისინი ბოლო ვადისთვის (2019 წლის იანვარი) შესაბამისობაში მოვიდნენ ადრგის განახლებულ სტანდარტთან. ის დისციპლინები (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომლებიც შესულია სამედიცინო პროგრამის კურიკულუმში, შესაბამისია. რაც შეეხება სასწავლო ინფრასტრუქტურას, სტუდენტებს დისტანციური წვდომა აქვთ ბიბლიოთეკის რესურსებზე. პრობლემას წარმოადგენს ლიტერატურაზე წვდომა სწავლების მიმართ კვლევით-ინფორმაციული და მტკიცებულებაზე დამყარებული მიდგომის მხარდაჭერის მიზნით, რაც შეფასებას საჭიროებს. ანალოგიურად, ახალი პროგრამა გადის დეტალურ შიდა შესწავლას და განათლების ხარისხისა და შეფასების უკუკავშირის ჯაჭვის დასრულების პროცესს. ამის გარდა, მისი დეტალური შესწავლა ხდება ეროვნულ დონეზე, გარე შეფასების სისტემის შემოღებით. ეს უზრუნველყოფს სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულის განათლებისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას საქართველოში მოქმედი სხვა სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებთან ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პროფესიული თვისებების თვალსაზრისით.

დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ცნობილია განახლებულ სტანდარტთან შესაბამისობის საჭიროება და ეს ჩანს მათი სურვილით, შემოიღონ სწავლის მეთოდები და მოახდინონ საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრაცია. აგრეთვე ცხადია, რომ მათ სურთ სუმატიური (შემაჯამებელი) შეფასებების შემოღება ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოკვლევების (OSCE) ფორმით. კლინიკური უნარების ლაბორატორიების ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ინვესტირება და არსებობს OSCE-ს შეფასებების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი სივრცის რეკონფიგურაციის შესაძლებლობა. ამ მიზნით, ისინი რჩევენ იღებენ სამედიცინო განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტებისგან. თუმცა, გუნდის შეფასებით, ფაკულტეტის მიერ ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოა განსახორციელებელი კოლეგების მომზადებისთვის სწავლისა და სწავლების ინოვაციურ მეთოდებში (სასწავლო მასალების მომზადება და მიწოდება) და OSCE-ს შემფასებლის მოსამზადებლად.

სტანდარტი 1 არსებითი შესაბამისობა

სტანდარტი 2 არსებითი შესაბამისობა

სტანდარტი 3 არსებითი შესაბამისობა

სტანდარტი 4 არსებითი შესაბამისობა

სტანდარტი 5 ნაწილობრივი შესაბამისობა

რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1

- ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კლინიკური სწავლის მასშტაბის გაზრდის მიზნით და შეფასების პუნქტების ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.

- ფაკულტეტის განვითარება სტუდენტების მუშაობის შეფასებაში და ნიშნების ობიექტურობის უზრუნველყოფის მექანიზმის შესამუშავებლად, ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად.
- იმის უზრუნველყოფა, რომ არსებობდეს უფრო მეტი სიცხადე იმასთან დაკავშირებით, თუ პროგრამა როგორ უზრუნველყოფს სუბიექტის სტანდარტების სქემის შედგენასა და შეფასებას.
- OSCE-ს განვითარებასა და შეფასებაში მომზადება და შემდეგ OSCE-ების, როგორც კლინიკური უნარების (ანუ პროცედურული უნარების, კომუნიკაციის უნარის და ორგანოთა სისტემების კლინიკური გამოკვლევის) ოფიციალური შეფასების შემოღება.

სტანდარტი 2

- მათი აყვანის პროცესის მასშტაბის გაზრდა სხვა პარამეტრების გათვალისწინებით, სტუდენტების სამედიცინო პროგრამისთვის შესარჩევად, მათ შორის, სტუდენტებთან ინტერვიუები, ბიოლოგიისა და ქიმიის ცოდნა, და მათთვის შეკითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რატომ სურთ მედიცინის შესწავლა, ასევე მათი წინა გამოცდილებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.
- იმის უზრუნველყოფა, რომ კლინიკებში კლინიკური მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არის მკაფიო და გამჭვირვალე ყველა დაინტერესებულ მხარეს- პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და პასუხისმგებელ პროფესიონალ კოლეგებს შორის უკუკავშირისა და დიალოგის თვალსაზრისით. ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მიიღება გადამწყვეტი ზომები, რომელთა შესახებაც ხდება შეტყობინება, და არსებობს საკონტროლო ჟურნალი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- თითოეული კურსის სილაბუსი იმ მეთოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ყველაზე სასარგებლოა სპეციალობის საგნის მიხედვით.
- მეორე შემფასებლებისთვის გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა შეფასების პროცესის სამართლიანობისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით.

სტანდარტი 3

- სამედიცინო ფაკულტეტს რეკომენდაცია ეძლევა, შეისწავლოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობა, და უზრუნველყოს, რომ ამისათვის ხელმისაწვდომი რესურსები იყოს ეფექტიანი და მდგრადი.

სტანდარტი 4

- აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა და მოწვეული პერსონალის რაოდენობის შემცირება სამედიცინო პროგრამის ხანგრძლივობის უზრუნველსაყოფად.
- აფილირებული კოლეგების რანგში მეტი საერთაშორისო პროფესორის მოწვევა უნივერსიტეტ გეომედის პროფილის გასაზრდელად, და შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. . ამას, თავის მხრივ, დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ამჟამად არსებული პროფესორების კვლევის შედეგებზე.

- OSCE-ს ყველა მკვლევარი საჭიროებს მომზადებას ამ სახის შეფასებაში იმისათვის, რათა პროცესი იყოს სანდოც და ვალიდურიც.
- დეკანი და სამედიცინო პროგრამის მართვის გუნდი განაგრძობს სამედიცინო სფეროში განათლების იმ ექსპერტებთან მუშაობას და მათი წრის გაფართოებას, რომლებიც რეკომენდაციებს იძლევიან პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით, სწავლისა და სწავლებისა და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით. ის აგრეთვე უზრუნველყოფს მედიცინის სფეროში ახალი დარგობრივი განახლებული სტანდარტის შესაბამისობას, რადგან თქვენი პროფესორ-მასწავლებლები (კლინიკური და არა-კლინიკური) რეგულარულად გაივლიან მომზადებას სამედიცინო განათლების მიმართულებით.
- ლაბორატორებისა და ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებითა და ხელმისაწვდომი ჟურნალებით, ონლაინ წვდომის ჩათვლით, სტუდენტის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტი 5

- სტუდენტისგან, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან მონაცემების მიღების ანალიზის მეთოდოლოგიის შემდგომი შემუშავება პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის
- ფაკულტეტის მიერ სწავლებისა და შეფასების მიმართულებით სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა.
- უფრო მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის მოწვევა უნივერსიტეტი გეომედის კურსდამთავრებულების კომპეტენციის თავიანთი ქართველი კურსდამთავრებულების კომპეტენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- პროგრამის მონიტორინგის უფრო ზუსტი მექანიზმის შემუშავება გარე მკვლევარების, აგრეთვე მეორადი შემფასებლების გამოყენებით სტუდენტების ცოდნისა და უნარების ხარისხის შეფასების უზრუნველსაყოფად.
- არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება.

რჩევების შეჯამება

სტანდარტი 1

- იმ მკვლევარების შესწავლა და აყვანა, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულების პედაგოგებს, სამედიცინო პროგრამის შედეგების და პროგრამის თითოეულ წელს სტუდენტებისთვის დაწერილი ნიშნების ექვივალენტურობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად.

სტანდარტი 2

- კოლეგებისთვის სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტებთან კონფერენციებზე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
- დარგის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა სამედიცინო განათლების სფეროში მეთოდების შესახებ ცოდნის მისაღებად.

- სტუდენტებისთვის რეკომენდებული ონლაინ საკითხავი მასალების უზრუნველყოფა.
- ინტეგრაციის გაზრდა საბაზისო საგნებს შორის, მაგალითად, ანატომია, ფიზიოლოგია, ციტოლოგია და ჰისტოლოგია და კლინიკური მედიცინა.

სტანდარტი 4

- რეკომენდირებულია გაიზარდოს OSCE -ს გამომცდელთა შემადგენლობით დაკომპლექტება ადეკვატური რაოდენობის ხელმისაწვდომობის მიზნით.
- მეტი მკაფიობაა საჭირო ფაკულტეტებისთვის გამოყოფილი საბიბლიოთეკო ბიუჯეტის ირგვლივ, საჭიროა უფრო გამჭვირვალე სისტემა რესურსების შერჩევისა და განაწილებისთვის.
- უნივერსიტეტი გეომედის მიერ იმის უზრუნველყოფა, რომ მოქმედებდეს ფინანსური ანალიზის სისტემა, შესაბამისად, მოგების მიმღები და საადრიცხვო განყოფილებებისთვის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებისთვის, და საჭიროა დეკანების უფრო ფართო ავტონომია ბიუჯეტირების პროცესში.
- რენტაბელობის ანალიზის განხორციელება ფინანსურ მართვასა და ანგარიშგებაში გამჭვირვალობის დასადასტურებლად, ფაკულტეტის დონეზე ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკების მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტი 2:

- ეკრანზე მიკროსკოპის გამოყენებით პროცედურების ჩვენება სტუდენტებისთვის ჰისტოლოგიის შესწავლისა და პრაქტიკაში გამოყენების დასახმარებლად.

სტანდარტი 4:

- დეკანს და სამედიცინო პროგრამის მმართველ გუნდს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, მოიძიონ სამედიცინო განათლების სფეროს ექსპერტები, რომლებიც რჩევენ მისცემენ პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით.
- სასწავლო რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტში, ისე დისტანციურად.

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევების ან/და პროგრესის შეჯამება (არსებობის შემთხვევაში)

- მედიცინის სწავლა-სწავლებაში ახალი მეთოდების შემოღება
- OSCE-ს, როგორც შემაჯამებელი შეფასების მეთოდის გამოყენების გამოცდის მიზნით მუშაობა.
- ფაკულტეტის მიერ ახალი მეთოდოლოგიების შემუშავებისა და ამგვარად, ამ საკითხებზე რჩევის მისაღებად სამედიცინო განათლების სფეროს საერთაშორისო სპეციალისტების ჩართვის საჭიროების გაცნობიერება.
- საბაზისო და კლინიკური სწავლების ინტეგრაციის საჭიროების გაცნობიერება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით ვიზიტად მყოფი ექსპერტების ჯგუფი დარწმუნებულია იმაში, რომ სახეზეა ფაკულტეტთან დაკავშირებით დადებითი ურთიერთობები და დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის პროაქტიული მიდგომები. ამგვარად, უნივერსიტეტ გეომედის პროფესორ-მასწავლებლები არა მხოლოდ აცნობიერებენ მედიცინის განახლებულ დარგობრივ სტანდარტთან სრული შესაბამისობის საჭიროებას, არამედ აგრეთვე მუშაობენ კიდევ ამ მიმართულებით 2019 წლის იანვრისთვის, რომელიც არის ბოლო ვადა. ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ დეტალურად იქნეს შესწავლილი ყველა სამედიცინო სასწავლებელი, უნივერსიტეტ გეომედის ჩათვლით, შესაბამისობის უზრუნველყოფის დასადასტურებლად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა სტუდენტებში განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა. ისინი აგრეთვე წარმოაჩენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი გეომედის ვებგვერდისა და დებულების მიხედვით, უნივერსიტეტის მისია მდგომარეობს გლობალური განათლების სისტემაში ინტეგრაციაში. უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას; აქცენტს აკეთებს სტუდენტებს ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე შემდეგ დარგებში: მედიცინა, სტომატოლოგია, ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა, ფინანსები, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

სამედიცინო პროგრამა წარმოადგენს უნივერსიტეტი გეომედის ერთ-ერთ პრიორიტეტს და ის არსებითად შეესაბამება უნივერსიტეტის დეკლარირებულ მისიას. პროგრამის მთავარია მიზნებია თავისი კურსდამთავრებულები უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საჭიროებით, მაგალითად, კომპეტენციების განვითარებით, ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის სწავლებით, დარგის თეორიული საფუძვლის პრეზუმირებული ცოდნით, სამეცნიერო და კლინიკური უნარ-ჩვევებით, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამატებითი პრაქტიკული საქმიანობისთვის.

უნივერსიტეტი გეომედის სამედიცინო პროგრამები დაიწყო 2013 წელს და სამედიცინო პროფილის სტუდენტების პირველ ნაკადს გამოუშვებს 2019 წელს. ეს არის ახალი სამედიცინო პროგრამა და შესაბამისად, უნივერსიტეტი გეომედის მისია, მიზნები და სტრატეგია შესაბამისობაშია ამ შედარებით ახალ ინოვაციასთან.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვიზიტად მყოფი ჯგუფი დარწმუნდა იმაში, რომ კურიკულუმი შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სააკრედიტაციო სტანდარტებს და რომ მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში მედიცინის ახალ ეროვნულ დარგობრივ სტანდარტთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამედიცინო ფაკულტეტმა გულდასმით მიიღო რჩევები როგორც საქართველოში მოღვაწე განათლების სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტებისგან, ისე მინესოტას (აშშ) და მიუნხენის (გერმანია) დამოუკიდებელი კონსულტანტებისგან. საერთაშორისო ექსპერტები

მონაწილეობენ ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე, რათა ნებისმიერი ცვლილების შესახებ თავისი რეკომენდაცია შესთავაზონ. ანალოგიურად, ისინი იყენებენ ახალ სამედიცინო სტანდარტს აკრედიტაციის სააგენტოს შესაბამისად და მუშაობენ სამედიცინო პროგრამის სრული ინტეგრაციის მიზნით. ანალოგიურად, სამუშაოს დონე სიღრმისა და მასშტაბის თვალსაზრისით შესაფერისია სწავლის საათებისთვის და დაკავშირებულია ECTS სისტემასთან და შესაბამისად, კურსის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. სამედიცინო პროგრამის დეტალები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სწავლების მართვის სისტემაზე. რადგან ეს არის პროფესიული პროგრამა, ბუნებრივია, ის უკავშირდება მედიცინის დარგის მიღწევებს და მის ურთიერთობას საზოგადოებასთან. კურსების დეტალების გაზიარება ხდება ჯგუფური შეხვედრებისა და განხილვების მეშვეობით, აგრეთვე წერილობითი კომუნიკაციების ფორმით, მაგალითად, ელექტრონული ფოსტით.

სამედიცინო ფაკულტეტის მმართველი გუნდი აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს შრომის ბაზარს, ასე, რომ სტუდენტები პოულობენ სამუშაოს მას შემდეგ, რაც დამსაქმებლები შეისწავლიან მათ იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა კლინიკური პრაქტიკისთვის, მაგალითად, ინგლისური ენის ცოდნის უნარებს, კლინიკურ უნარებს. თუმცა, არაა მკაფიო უცხოეთიდან ჩამოსული კურსდამთავრებულების მომავალი, ის, დარჩებიან ისინი საქართველოში თუ სამშობლოში დაბრუნდებიან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ვიზიტად მყოფ გუნდს ეცნობა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამედიცინო პროგრამა აღიარებულ იქნა ინდოეთის სამედიცინო საბჭოს მიერ, რამაც სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა, კურსის დასრულების შემდეგ ჩაებარებინათ ინდოეთის ეროვნული გამოცდები.

უნივერსიტეტი გეომედი მეგობრულად განწყობილი დაწესებულებაა და პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის არსებობს კარგი ურთიერთობები, რაც პრობლემების ადვილად მოგვარებას უწყობს ხელს.

რადგან ამ სამედიცინო პროგრამის შემსწავლელი სტუდენტები ძირითადად უცხოელები არიან, ისინი გადიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, რაც მათ თავიანთ თანაკურსელებთან, იმ ქვეყანაში ინტეგრაციაში დაეხმარება, სადაც სწავლობენ, აგრეთვე დაეხმარება კლინიკური დარგის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციაში სასწავლო დატვირთვის განაწილებისას. აღინიშნა, რომ ეს ხელმძღვანელები ორ ენას ფლობენ, ასე, რომ მათ შეუძლიათ თარგმნა ზოგიერთ თავის პაციენტთან კომუნიკაციისას კლინიკურ პირობებში.

თუმცა, უნივერსიტეტი რეკომენდაციებს იღებს საერთაშორისო ექსპერტებისგან და თანამშრომლობს თბილისის სხვა სამედიცინო სასწავლებლებთან სამედიცინო განათლების სფეროში მომზადების საკითხებში, როგორც ჩანს, არ არსებობს გარე შესწავლის სისტემა, რომლითაც სხვა სამედიცინო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები შეაფასებდნენ პროგრამას შინაარსის, შეფასებისა და სტუდენტთა პროგრესის თვალსაზრისით, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის რეგულაციები (რექტორის ბრძანება N285, 27.10.2017) - • სტრატეგიული განვითარების გეგმა (აკადემიური საბჭოს შეხვედრის ოქმი N 09, 08.09.2017, • რექტორის ბრძანება, N208, 08.09.2017) • სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N012, 27 .71.2017, რექტორის ბრძანება N308 , 27 .17 .2077) • ვებგვერდი • უნივერსიტეტის დებულება 												
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 												
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ იმ მკვლევარების შესწავლა და აყვანა, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულების პედაგოგებს, სამედიცინო პროგრამის შედეგების და პროგრამის თითოეულ წელს სტუდენტებისთვის დაწერილი ნიშნების ექვივალენტურობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. 												
<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p>												
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>												
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით</p> <table style="width: 100%; border: none;"> <tr> <td style="text-align: center;"><input type="checkbox"/></td> <td style="text-align: center;">შუბალბრუნულია ში ა</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;"><input checked="" type="checkbox"/></td> <td style="text-align: center;">მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;"><input type="checkbox"/></td> <td></td> <td style="text-align: right;">ნა წი ლ ბ რ ი ვ</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;"><input type="checkbox"/></td> <td></td> <td style="text-align: right;">არ ა რ ი ს შ ე ს ა ბ</td> </tr> </table>	<input type="checkbox"/>	შუბალბრუნულია ში ა		<input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		<input type="checkbox"/>		ნა წი ლ ბ რ ი ვ	<input type="checkbox"/>		არ ა რ ი ს შ ე ს ა ბ
<input type="checkbox"/>	შუბალბრუნულია ში ა											
<input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან											
<input type="checkbox"/>		ნა წი ლ ბ რ ი ვ										
<input type="checkbox"/>		არ ა რ ი ს შ ე ს ა ბ										

<p>1.2. პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ პროგრამის სწავლის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტ გეომედს ჰყავს საერთაშორისო მრჩეველები გერმანიიდან და მინესოტადან (აშშ), რომლებიც პროაქტიულები არიან პროგრამების შემუშავების საკონსულტაციო საბჭოებში. თუმცა, ზოგიერთი მოწვეულ პერსონალს აგრეთვე ხელშეკრულებები აქვთ დადებული თბილისში მოქმედ სხვა სამედიცინო სასწავლებლებთან, როგორც ჩანს, არ არსებობს რაიმე გარე ფორმალიზებული კვლევის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულების კომპეტენციის შესაბამისობას სხვა ქართულ სასწავლებლებში მყოფ, შესაბამისი პროფილის კურსდამთავრებულებთან. მთავარი მტკიცებულება იქნება ეროვნულ გამოცდებზე კურსდამთავრებულების შედეგები. თუმცა, სტომატოლოგიის სპეციალობის სტუდენტებთან გასაუბრებისას ირკვევა (უნივერსიტეტს ჯერ არ გამოუშვია მედიკოსების პირველი ნაკადი), რომ უნივერსიტეტი გეომედის სტუდენტების მოსწრება ამ გამოცდებში ზოგადად ძალიან მაღალია.

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც სქემის სახით მოცემულია კურიკულუმში. შეფასებების უტყუარობის უზრუნველსაყოფად, კარგი იქნებოდა საგამოცდო ნამუშევრების ნახვა (სადაც სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კითხვები იყო დასმული). საქართველოში ბევრ სამედიცინო სასწავლებელში განვითარებას საჭიროებს კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების განსაზღვრის მეთოდების სტანდარტის გამოყენება.

სწავლებისა და კურსების შეფასების პროცესში ჩართული ჯგუფის შემადგენლობაში მყოფ პროფესორ-მასწავლებლებს შორის არსებობდა და გრძელდება დიალოგი, რაც ხელს უწყობს სამედიცინო პროგრამის განვითარებას.

სასარგებლო იქნებოდა უფრო მეტი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა პროფესორ-მასწავლებლების მომზადება სტუდენტების სამუშაოს შესრულებასა და შეფასების პროცესისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია, რომელიც სამედიცინო სპეციალობის სტუდენტებს მოეთხოვებათ, მოწმდება იმ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რომლებიც სწავლის და კურიკულუმის დოკუმენტებში განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისია. პროგრამა აგრეთვე აჩვენებს აკადემიური მოსწრების პროგრესს ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით, როცა სტუდენტი თავის სწავლის პროცესში წინ მიიწევს, რაც შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მედიცინის სფეროს სტანდარტებს. ეს პროგრამა უმთავრესად განკუთვნილია უცხოელი სტუდენტებისთვის, იმ მოლოდინით, რომ სტუდენტი თავის სამშობლოში დაბრუნდება სამედიცინო პრაქტიკის განსახორციელებლად საქართველოში დასაქმების ნაცვლად. ამიტომ, ვიზიტად მყოფმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები ამ პროგრამას უკავშირდება.

კომუნიკაცია პროფესორ-მასწავლებლებს, მოწვეულ პერსონალსა და აფილირებულ კოლეგებს შორის კლინიკებთან ხდება რეგულარული შეხვედრებითა და ელექტრონული

ფოსტის მეშვეობით და პროგრამის გუნდის რეგულარული ვიზიტებით კლინიკებში. ბევრი პრაქტიკოსი ექიმიაგრეთვე არის უნივერსიტეტი გეომედის აფილირებული პროფესორი.

ცხადი იყო, რომ მუდმივად ხდებოდა პროგრამის და მისი შემადგენელი კურსების განხილვა და კოლეგებთან და სტუდენტებთან განხილვების შედეგად ჩამოყალიბდა განვითარებასთან, აგრეთვე სტუდენტების სწავლის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები, მაგრამ გაურკვეველი იყო, თუ როგორ უზრუნველყოფდა პროგრამის ხელმძღვანელობა საგნის სტანდარტების სქემის სახით ჩამოყალიბებას და შეფასებას. ამიტომ, ეს ის სფეროა, სადაც საჭიროა, რომ პროგრამის გუნდმა უფრო მეტი სიცხადე შეიტანოს. კურსის შიდა შეფასებები ხორციელდება და ბრუნდება მომდევნო კვირას.

როგორც წესი, სტუდენტებთან უკუკავშირი აგრეთვე ხდება შემდეგი ფორმატით:

- ონლაინ უკუკავშირი სტუდენტების ჟურნალებში
- პერსონალის შეხვედრა განხილვის მიზნით, რაც სტუდენტებისთვის არის ხელმისაწვდომი
- კონსულტაციების ვადები
- შესაძლებელია საკითხების მკაფიოობის/სირთულის განხილვა

თუ სტუდენტი შეფასებას ვერ გაივლის, შეუძლია ხელახლა სცადოს შეფასების გავლა და ამ პროცესის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფილია გამოსწორების შესაძლებლობა.

კლინიკური უნარების შეფასება უმთავრესად ხდება კლინიკაში საქმიანობის დროს, სადაც ხდება მათზე დაკვირვება და უკუკავშირის წარმოდგენა საქმიანობასთან დაკავშირებით. პროგრამების ხელმძღვანელმა და დეკანმა განიხილეს OSCE-ს საკითხი და როგორც სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვებისას გამოჩნდა, ეს მიმართულება განვითარებას საჭიროებს, რაც უნდა წახალისდეს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გუნდს ეცნობა იმის შესახებ, უნივერსიტეტ გეომედის პროფესორ-მასწავლებლები თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო აკადემიაში მომუშავე თავიანთ კოლეგებთან სამედიცინო შეფასების ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგის მიმართულებით.

სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ორი სამედიცინო პროგრამის (ინგლისურ და ქართულ ენებზე) შეფასებები იდენტური იყო. მკაფიო არ იყო, ისინი ერთსა და იმავე დროს იქნა აღებული თუ არა, რადგან ეს სფერო რისკთან არის დაკავშირებული შეფასების საკითხის უსაფრთხოებასთან და ამგვარად, გამოცდების მიმართებაში, და გამოცდების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით.

არსებობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები პედაგოგიური პრაქტიკის მიმართულებით და პროგრამის გუნდმა აღიარა, რომ ეს სფერო დამატებით განვითარებას საჭიროებდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და OSCE-ს თვალსაზრისით.

რადგან უნივერსიტეტი გეომედი შედარებით მცირე ზომის სასწავლებელია, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი პრობლემები შეატყობინონ დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელსა და რექტორს. ანალოგიურად, სტუდენტების პრობლემების მოსმენა შესაძლებელია სხვა არხების, მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური).
- სწავლის შედეგები, აკადემიური საბჭოს Map პროტოკოლი N 02, 09.02.2018
- კონტრაქტი კორპორაცია კაპლანთან.
- უნივერსიტეტის აღიარება MCI-ის მიერ
- მემორანდუმი კონტაქტი ზედამხედველთან
- კონსულტანტების თანხმობა

რეკომენდაციები:

- იმის უზრუნველყოფა, რომ არსებობდეს უფრო მეტი სიცხადე იმასთან დაკავშირებით, თუ პროგრამა როგორ უზრუნველყოფს სუბიექტის სტანდარტების სქემის შედგენასა და შეფასებას.
- OSCE-ს განვითარებასა და შეფასებაში მომზადება და შემდეგ OSCE-ების, როგორც კლინიკური უნარების (ანუ პროცედურული უნარების, კომუნიკაციის უნარის და ორგანოთა სისტემების კლინიკური გამოკვლევის) ოფიციალური შეფასების შემოღება.
- ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კლინიკური სწავლის მასშტაბის გაზრდის მიზნით და შეფასების პუნქტების ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.
- ფაკულტეტის მიერ სტუდენტების მუშაობის შეფასების და ნიშნების რეგულირების მექანიზმის სრულყოფა ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გოთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობასთან დაკავშირებით

- მოდერნიზაცია ში ა
- მოდერნიზაცია შე ს ა ბ ა მ ი ს ო
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბ

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

<p>2.1. პროგრამაში დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტების აყვანა, ზოგადად, ხდება უცხოეთიდან, ძირითადად, ინდოეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ნიგერიიდან. შერჩევის პროცესი მოცავს B2 სერტიფიცირებას ინგლისურენის ცოდნაში და ეროვნულ გამოცდების შედეგებს (შესაბამისისაგნების, მაგალთად ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართებით).</p> <p>უნივერსიტეტმა გეომედი მიიღო წარმომადგენლის მომსახურებები, რაც მას დაეხმარება სამედიცინო სპეციალობის სტუდენტების შერჩევასა და აყვანაში. განათლების სამინისტრომ აგრეთვე გააჩნია როლი, რომელსაც ის ასრულებს მიღების პროცესში, რაც გამოცხადებულია უმაღლესი სასწავლების დიპლომის დასრულებისას. ამჟამად, განმცხადებლებთან გასაუბრება არ ხდება, თუმცა, სამომავლოდ არსებობის ამის გეგმები.</p>

<p>მიღების კრიტერიუმების განხილვის შემდეგ, ვიზიტად მყოფმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უფრო მეტი აქცენტის გაკეთება საჭირო სტუდენტის უნარზე მეცნიერებების, კერძოდ- ბიოლოგიისა და ქიმიის შესწავლის. ამგვარად, სამედიცინო პროგრამის ჯგუფს რეკომენდაცია ეძლევა, გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები სტუდენტების შესარჩევად და ასაყვანად, რადგან ეს უზრუნველყოფს სტუდენტების შენარჩუნებას.</p> <p>შერჩევისა და პროგრამაში აყვანის დეტალები გამჭვირვალეა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აგრეთვე, მიმდინარეობს აქტიური კამპანიები უმაღლეს სასწავლებლებში პრეზენტაციების და სტუდენტთა აყვანის ღონისძიებების (მაგალითად, დუბაიში) მეშვეობით. სტუდენტებთან საუბრისას ირკვევა, რომ მეგობრული ატმოსფერო და სამედიცინო პროგრამაში მონაწილე მეგობრების და ნაცნობების მიერ გაზიარებული ინფორმაცია არის ის მიზეზები, რის გამოც სტუდენტები უნივერსიტეტში აბარებენ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური) • საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N 10, 27.10'2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017) • ვებგვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მათ აყვანის პროცესის გადართობის გაგრძელება, სხვა პარამეტრების მოძიება სტუდენტების სამედიცინო პროგრამაში აწვევისთვის, მათ შორის სტუდენტებთან ინტერვიუ ბიოლოგიისა და ქიმიის ცოდნა, დამათვის მეთოდების შესწავლის სურვილის მიზეზების და თავიანთ წინა გამოცდებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის წარმოშენის თხრობა
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით</p> <p><input type="checkbox"/> შეუძლებელია შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არა შესაბამისია</p> <p style="text-align: right;">ნაწილობრივ არ არის შესაბამისი</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისურ ენაზე განხორციელებული უნივერსიტეტი გეომედის სამედიცინო პროგრამა ეყრდნობა ბოლონის ECTS საკრედიტო სისტემას და უნივერსიტეტის პროგრამების შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიას, და პროგრამაზე მიღება ეფუძნება სტუდენტების მიერ მინიმალური სტანდარტების მიღწევას, რაც მიღების კრიტერიუმებით არის მოთხოვნილი. მედიცინის პროგრამა იყენებს ECTS სისტემას და ის შედგება 360 კრედიტისგან, რომლიდანაც 330 კრედიტი არის სავალდებულო და 30 კრედიტი - შერჩევითი. ინფორმაცია სამედიცინო პროგრამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სერთიფიცირებული დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი. პროგრამა შედგება 360 საკრედიტო საათისგან; 330 კრედიტი არის სავალდებულო სპეციალობისთვის, საიდანაც:

- სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსი მოიცავს 69 კრედიტს (ბიოსამედიცინო მეცნიერებების ჩათვლით)
- სპეციალობის პრეკლინიკური სავალდებულო - 33 კრედიტი
- სპეციალობის კლინიკური სავალდებულო - 163 კრედიტი
- სავალდებულო სპეციალობა- 33 კრედიტი
- სავალდებულო სამეცნიერო უნარები- 12 კრედიტი
- სავალდებულო კლინიკური უნარები- 20 კრედიტი

თავისუფალი არჩევითი კურსები: 30 კრედიტი, საიდანაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, აირჩოს კლინიკაში პრაქტიკა- 10 კრედიტი ან/და მედიცინის დარგში სამეცნიერო საქმიანობა- 10 კრედიტი, დარჩენილი კრედიტები უნდა დაგროვდეს არჩევითი სასწავლო კურსებიდან. 1 კრედიტი = 25 აკადემიური საათი; აკადემიური წელი არის 42 კვირა. ვადების ხანგრძლივობა: 21 კვირა (რომელიც მოიცავს შემდეგს: მომზადება- 15; მეცადინეობები- 4; დამატებითი გამოცდები- 2). VII, VIII, IX, X, XI, XII ვადები - მკურნალობის სასწავლო სისტემა

პროგრამის ფარგლებში კურსების შინაარსი ეყრდნობა მედიცინის დარგის ეტალონების შესახებ განაცხადებში მოცემულ რეკომენდაციებს, ასე, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციას. პირველი სემესტრიდან პროგრამის ფარგლებში გარკვეული ხარისხით ხდება მეცნიერების, ჰუმანიტარული საგნებისა და კლინიკური პრაქტიკის ინტეგრაცია. ინტეგრაცია და ფუნდამენტური მეცნიერებები და კლინიკური ცოდნა მიიღწევა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობით, რომლის მიზანია თემებისა და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში,

ანატომიაში, ჰისტოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. ეს ასახულია სწავლა-სწავლების სხვადასხვა დამტკიცებულ მეთოდებში, მ.შ.

- ვერბალური/ზეპირი მეთოდი (ინტერაქტიული ლექცია)
- ონლაინ ინტერაქტიული ლექცია;
- პდს (პრობლემაზე დამყარებული სწავლება)- გუნდის ფორმირება;
- ლექცია-პრეზენტაცია;
- ლექცია/სემინარი პრეს-კონფერენცია;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები
- განხილვა/დებატები
- დემონსტრირების მეთოდები.
- ლექცია,
- პრაქტიკული მეცადინეობები,
- სემინარები, მ.შ. კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების ინტეგრაცია
- კლინიკური პრაქტიკის კრედიტების აღიარება
- ანატომია- 3-განზომილებიანი მოდელები და ფანტომი, მოდელები
- სტუდენტებისთვის კურსის ჩატარება ჰისტოლოგიაში, მიკროსკოპის გამოყენებით, ლექტორის მიერ წინასწარი ინსტრუქციით; უნდა მოხდეს მიკროსკოპის ქვეშ არსებული სლაიდების ეკრანზე ჩვენება.
- ზეპირი პრეზენტაციები

უნივერსიტეტი გეომედი არის სასწავლო უნივერსიტეტი, კვლევის შეზღუდული შესაძლებლობებით, თუმცა, კვლევის უნარები და მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინა არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ასე, რომ არსებობს კვლევის განახლებული შედეგების კურიკულუმში შეტანის მტკიცებულება. პროგრამის განხილვასა და შემუშავებაში ჩართულები არიან სხვადასხვა სახის პროფესორ-მასწავლებლები და დაინტერესებული მხარეები. კვლევის უნარები ისწავლება კრედიტების მქონე აკადემიური წერის კურსებზე, კვლევის უნარების არჩევით კურსზე, მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინის- თეორიული კვლევის კურსზე და არა- ყველა კურსზე. სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ პრეზენტაციებში კონფერენციებზე, რომლებსად, მაგალითად, მართავს უნივერსიტეტი გეომედი ორ წელიწადში ერთხელ.

მედიცინის პროგრამა გულდასმით სწავლობს სტუდენტის დასწრებას როგორც უნივერსიტეტში, ისე პრაქტიკებზე კლინიკებში. მედიცინის პროგრამა ლოგიკური თანამიმდევრობით მიჰყვება სწავლა-სწავლების პროცესს უნივერსიტეტსა და კლინიკურ პრაქტიკაში.

სტუდენტის გამოცდილების ხარისხის უზრუნველყოფა, კერძოდ, უნივერსიტეტის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უნივერსიტეტი გეომედიდან დაშორებულია, ანუ კლინიკებში, მნიშვნელოვანია მედიცინის პროგრამის მთლიანობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა განაგრძოს:

- სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი,
- სტუდენტის დაკმაყოფილება სტაჟირების პროცესში სწავლით

- სტუდენტების ცოდნა და უნარ-ჩვევები ინტენსიური შეფასებების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა,
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს კრება N 10-ის ოქმი, 27.10.2017, რექტორის ბრძანება M86, 27.10.2017)
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

X შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/>	ძალიან დაბალია
<input type="checkbox"/>	დაბალია
<input type="checkbox"/>	არ არის შესაბამისი

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის პროგრამის დოკუმენტაცია და განხილვები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან იმაზე მიუთითებს, სხვადასხვა კურსებს აქვთ სწავლის სათანადო და შესაბამისი შედეგები და ისინი გამოიცდება სწავლის შედეგების მიხედვით. კურსების სირთულის დონე და მასშტაბი იზრდება სტუდენტების მიერ პროგრამის გავლის პარალელურად, ასე,

რომ ისინი მიჰყვებიან ეროვნული უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს. რადგან კურსებს კრედიტების განსხვავებული რაოდენობა აქვთ, ეს აისახება სწავლებისა და სწავლის საათების რაოდენობაში, და დამოუკიდებელი სწავლის მიმართ სტუდენტების მოლოდინებში. როგორც ყველა სამედიცინო პროგრამის შემთხვევაში, კლინიკური პრაქტიკის საათების რაოდენობა უფრო მეტა თითოეული ECTS კრედიტის შემთხვევაში. თუმცა, ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ მოხდა სწავლის შედეგების სქემატური ასახვა შეფასებების მიხედვით, და გამოითქვა ვარაუდი, რომ კურსის შიდა შეფასებებისა და კურსის დამასრულებელი გამოცდების გათვალისწინებით, სწავლის ყველა შედეგი შეფასდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- სილაბუსების კურიკულუმი და შედეგების სქემა
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა,
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს კრების N 10 ოქმი, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N2 86, 27.10.2017)

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კოლეგებისთვის სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტებთან კონფერენციებზე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
- სტუდენტებისთვის რეკომენდებული ონლაინ საკითხავი მასალების უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

-
-
-

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინა წარმოადგენს თეორიულ დისციპლინას. მათ, ვისაც სურთ დაკავდნენ საექიმო პრაქტიკით, აგრეთვე ესაჭიროებათ კვლევის, კლინიკური პროცედურებისა და კლინიკური კომუნიკაციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. სამედიცინო პროგრამის ინფრასტრუქტურაში ეს გათვალისწინებულია უნივერსიტეტი გეომედის ტერიტორიაზე არსებობს კარგად აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორიები; აგრეთვე ანალოგიურ ლაბორატორიებზე წვდომა არსებობს პარტნიორ კლინიკებშიც.

უნივერსიტეტ გეომედის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი აქვს გაფორმებული კლინიკებთან, რომლებიც კლინიკურ პრაქტიკაზე ანაწილებენ მათ სტუდენტებს, და იმ დოკუმენტებში მოცემულია კლინიკური სწავლა-სწავლების მოსალოდნელი შედეგების დეტალები. სტუდენტები გამოკითხვების დროს იძლევიან ინფორმაციას კლინიკებში თავიანთი გამოცდილების შესახებ, მაგრამ არ არის მკაფიო, თუ რა ხდება, როცა კლინიკა არ უზრუნველყოფს საჭირო განათლებასა და მომზადებას, და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს პრობლემების მოსაგვარებლად. ეს არის ახალი პროგრამა, ასე, რომ არსებობს მოლოდინი, რომ ამ მექანიზმების ეფექტიანობის სრულად და მკაფიოდ დასადგენად საჭირო იქნებ გარკვეული დრო.

კლინიკური უნარები ისწავლება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, და პრაქტიკაში, აფილირებული პროფესორ-მასწავლებლების მიერ და როცა სტუდენტები ახორციელებენ უნარებს, ისინი მაშინვე იღებენ ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შედეგების შესახებ. პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის შედეგების მიღწევა ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით.

პროგრამის მიხედვით, სტუდენტი გადის კვლევის უნარების კურსებს, რომლებიც დაყოფილია სხვადასხვა დისციპლინებად: აკადემიური წერა- 5 კრედიტი, მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინა- 3 კრედიტი, სამეცნიერო კვლევის მეთოდები- 4 კრედიტი. უნივერსიტეტი წელიწადში ორჯერ აწყოფს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებს. თუმცა, სტუდენტების კვლევით პროექტში მონაწილეობა საჭიროა გაიზარდოს, რადგან სტუდენტების კვლევაში ჩართვის შესაძლებლობა შეზღუდულია იმის გამო, რომ ეს არის სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტებისთვის გარკვეული საგრანტო პროექტების დაფინანსების სტრუქტურა და წესები, თუმცა, ისინი სრულად არ მოქმედებენ. უნივერსიტეტის პედაგოგს აქვს შესაძლებლობა დაესწროს კონფერენციებს, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შეუძლია მოამზადოს „აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები“. ამ წესების მიხედვით, შეფასება ჩატარდება სამ წელიწადში ერთხელ და თუ აკადემიური/აფილირებული პერსონალი მონაწილეობს სამეცნიერო საქმიანობაში, უნივერსიტეტი გასცემს პრემიას.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური) • კონტრაქტები კლინიკებთან სტაჟირების პროცესში სწავლასთან დაკავშირებით • სილაბუსი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • იმის უზრუნველყოფა, რომ კლინიკებში კლინიკური მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არის მკაფიო და გამჭვირვალე ყველა დაინტერესებულ მხარეს- პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და პასუხისმგებელ პროფესიონალ კოლეგებს შორის უკუკავშირისა და დიალოგის თვალსაზრისით. ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტი ზომები, რომელთა შესახებაც ხდება შეტყობინება, და არსებობს საკონტროლო ჟურნალი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით</p> <p><input type="checkbox"/> შეუძლებელია შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> საშუალოდ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p style="text-align: right;">ნაწილობრივ შესაბამის</p> <p style="text-align: right;">არ არის შესაბამის</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით ვიზიტად მყოფი ჯგუფი შეხვდა სხვადასხვა პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სწავლება-სწავლებაზე და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების შეფასებაზე. ცხადი იყო, რომ გაიმართა ბევრ ჯგუფური განხილვა, რომელშიც კოლეგები ერთობლივად მუშაობდნენ სხვადასხვა საგნების ინტეგრაციაზე, პრეცედენტებზე დამყარებული სწავლების გამოყენებით. გამოყენებულ მეთოდებში ასახულია სასწავლო მასალები, თუმცა, ზოგიერთი მეთოდი მოძველებულია. როგორც ჩანს, ანატომია საკლასო ოთახში ისწავლება და ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ფარგლებში შესწავლილ იქნეს ის სხვა გზები, რომლებითაც შეიძლება ანატომიის სწავლა. პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ მცირე ჯგუფში</p>

მუშაობას, რომელიც შეიძლება დამატებით გაფართოვდეს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ჩვენ განსაკუთრებით მოგვეწონა ის ფორმა, რომლითაც ჰისტოლოგია ისწავლება მიკროსკოპის გამოყენებით ეკრანზე იმის დაკვირვებით, რასაც სტუდენტი ხედავს მიკროსკოპში ყურებისას. თავდაპირველად, კლინიკურ უნარებს სტუდენტებს ასწავლიდნენ ერთმანეთზე პრაქტიკით და მანეკენების გამოყენებით.

ამ პროგრამაში სწავლობენ უცხოელი სტუდენტები, მაგრამ მათთან საუბრის დროს გაირკვა, რომ არ არსებობს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კულტურასა და სასწავლო გარემოს. მათ უტარდებათ ქართული ენის კურსები, რაც მათ დაეხმარება ქვეყანაში ინტეგრაციასა და ქართველ თანაკურსელებთან, კლინიკის თანამშრომლებთან და პაციენტებთან ურთიერთობაში. რადგან ყველა ასე კმაყოფილია უნივერსიტეტ გეორგიაში, ვიზიტად მყოფი ჯგუფმა ვერ გაიგო, სტუდენტები ბედნიერები იყვნენ თუ უბრალოდ, ძალიან ლოიალურად განწყობილები. ისინი კმაყოფილები ჩანდნენ მედიცინის შესწავლის მეთოდებით- ამ მეთოდების მოქნილობით; ეს ის საკითხი იყო, რომელზე მსჯელობაც რთული იყო. ცხადი იყო ის განსხვავებული სახის მოდელები, რომლებიც გამოიყენებოდა სტუდენტების მიერ პროგრამის ათვისებასთან ერთად.

სამედიცინო განათლების სხვადასხვა მეთოდები თანდათან მკვიდრდება და ეს ქებას იმსახურებს. თუმცა, ცხადია, რომ სერიოზული სამუშაო ჩასატარებელი ფაკულტეტის განვითარების მხრივ, პრობლემაზე დამყარებული სწავლებისა და OSCE-ის მკვლევარის მომზადების თვალსაზრისით, და საჭიროა ნამუშევრის დაწერის შეფასება (ერთი სწორი პასუხის მქონე შეკითხვებზე პასუხის დაწერა, OSCE განყოფილებები) მათი წარმატებისთვის. ამიტომ, უნივერსიტეტ გეომედს ვურჩევდით, რომ გაზარდოს იმ ექსპერტების რაოდენობა, რომლებთანაც ის თანამშრომლობს, რათა შეიძინოს ცოდნა ამ მეთოდების შესახებ, და კოლეგებს მისცემს შესაძლებლობა, კონფერენციებზე შეხვდნენ სამედიცინო განათლების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

პროგრამის, რომელიც ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით, რაც ითვალისწინებს სტუდენტების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომებს (მათ აკადემიურ მიღწევებს და ა.შ.), ფარგლებში იქმნება ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები. სწავლების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების პროაქტიული მეთოდების გამოყენებას.

წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, სასწავლო კურსის დროს გამოყენებითი ძირითადი მეთოდებია:

- ლექცია - ვერბალური მეთოდი (ინტერაქტიული ლექცია);
- ონლაინ ინტერაქტიული ლექცია
- პრობლემაზე დამყარებული სწავლა (PBL)
- ლექცია-პრეზენტაცია
- ლექცია/სემინარი-პრესკონფერენცია
- სახელმძღვანელოზე მუშაობა;
- პრაქტიკული მეთოდები;
- განხილვა/დებატი;

<p>თითოეული სილაბუსი შეიცავს სხვადასხვა სწავლა/სწავლების მეთოდებს, მაგრამ არ არის ნათელი, პროფესორი როგორ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მეთოდი რომელ სპეციალობას შეესაბამება. სასწავლო გეგმა მომზადებულია და თუმცა, როგორც ჩანს, ის შედგენილია სტანდარტების დოკუმენტის მიხედვით და არ ასახავს პროგრამის რეალურ შინაარსს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური) • საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრება N 10-ის ოქმები, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული კურსის სილაბუსი იმ მეთოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ყველაზე სასარგებლოა სპეციალობის საგნის მიხედვით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტეგრაციის გაზრდა საბაზისო საგნებს შორის, მაგალითად, ანატომია, ფიზიოლოგია, ციტოლოგია და ჰისტოლოგია და კლინიკური მედიცინა. • დარგის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა სამედიცინო განათლების სფეროში მეთოდების შესახებ ცოდნის მისაღებად.
<p>საუკეთესო პრაქტიკები (აარსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • ევრანზე მიკროსკოპის გამოყენებით პროცედურების ჩვენება სტუდენტებისთვის ჰისტოლოგიის შესწავლისა და პრაქტიკაში გამოყენების დასახმარებლად.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით.</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება ში ა</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად არ შეესაბამება ში ა</p> <p>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება დიალოგი პროფესორ-მასწავლებლებს შორის ჯგუფში, რომელიც ჩართულია კურსების სწავლებისა და შეფასების პროცესში, მედიცინის პროგრამის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სასარგებლო იქნებოდა უფრო მეტი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა პროფესორ-მასწავლებლების მომზადება სტუდენტების სამუშაოს შესრულებასა და შეფასების პროცესისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია, რომელიც სამედიცინო სპეციალობის სტუდენტებს მოეთხოვებათ, მოწმდება იმ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რომლებიც სწავლის და კურიკულუმის დოკუმენტებში განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისია. პროგრამა აგრეთვე აჩვენებს აკადემიური მოსწრების პროგრესს ცოდნისა და უნარების სირთულის თვალსაზრისით, როცა სტუდენტი თავის სწავლის პროცესში წინ მიიწევეს, რაც შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მედიცინის სფეროს სტანდარტებს. შეფასებების უტყუარობის უზრუნველსაყოფად, კარგი იქნებოდა საგამოცდო ნამუშევრების ნახვა (სადაც სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კითხვები იყო დასმული). საქართველოში მოქმედ ბევრ სამედიცინო სასწავლებელში განსავითარებელია კომპეტენციაზე დამყარებული შეფასების მეთოდების განმსაზღვრელი სტანდარტის გამოყენება.

სტუდენტები ფასდებიან მეცადინეობებზე, ქვიზებით და წერილობითი დავალებებით და პრაქტიკული ტესტებით, ზეპირი პრეზენტაციებით და სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აცნობიერებენ მოლოდინებს, ასე, რომ ჩვენ გვჯერა, რომ შეფასების პროცესი გამჭვირვალეა. თუმცა, მკაფიო არ იყო: (ა) არსებობდა თუ არა მეორე შემფასებელი სტუდენტების მიერ ჩატარებული სამუშაოს შესაფასებლად და (ბ) გასაჩივრების პროცესი, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისთვის მიცემული შეფასება უსამართლოა. პროგრამა და მისი კურსები მუდმივი განხილვის პროცესში იყო და კოლეგებთან და სტუდენტებთან განხილვების დროს მოხდა ინფორმაციის ფორმირება, რომელიც ეხება განვითარებას და სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას მათ მიერ მიღებული შეფასებების თვალსაზრისით.

გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები; კურსის შიდა შეფასებები ხორციელდება და ისინი ბრუნდება შემდეგ კვირაში. კურსის დასასრულს გაკეთებული შეფასებები ინტერნეტში, საგამოცდო ცენტრის მიერ იღება და ზოგადად, ისინი არის ერთი საუკეთესო პასუხის მქონე ფორმატები, და შეფასებები ანალიზდება, რითაც ცუდი შეკითხვები გამოირიცხება. ონლაინ გამოცდის დასასრულს, სტუდენტებს დაუყოვნებლივ ელექტრონული ფორმატით ეცნობებათ ინფორმაცია მათ შედეგებზე. ეს ძალიან კარგია სტუდენტების სწავლებისთვის, მაგრამ უსაფრთხოების რისკები შეკითხვების ბანკთან დაკავშირებით სტუდენტების „სასწავლო“ შეკითხვებით და ინფორმაციის გადაცემით შემდგომ აკადემიურ წლებზე (თუ პროგრამის ხელმძღვანელებს სურთ ამ შეკითხვების ხელახლა გამოყენება). ფაკულტეტს აქვს შეკითხვების ბანკი, სადაც საკითხები მოპოვებულ იქნა აშშ-ს სამედიცინო ლიცენზირების გამოცდებიდან- ეს სფერო განვითარებას საჭიროებს, რათა პროფესორ-მასწავლებლებმა შექმნან კონტენტი- ვალიდური და სანდო შეფასების საკითხები.

სტუდენტებთან უკუკავშირი ხდება შემდეგი ფორმატების გამოყენებით:

- ონლაინ უკუკავშირი სტუდენტების ჟურნალებში

- პერსონალის შეხვედრა განხილვის მიზნით, რაც სტუდენტებისთვის არის ხელმისაწვდომი
- კონსულტაციების ვადები
- შესაძლებელია საკითხების მკაფიოობის/სირთულის განხილვა

თუ სტუდენტი შეფასებას ვერ მიიღებს, მას აქვს შესაძლებლობა, ხელახლა გაიაროს შეფასება და მის გასაუმჯობესებლად მას აძლევს გამოსწორების შესაძლებლობა. არ იყო მკაფიო გასაჩივრების სისტემასთან დაკავშირებით და ის, პროგრამა იყენებდა თუ არა მეორად შემფასებლებს; თუ ისინი არ იყენებენ, მაშინ ეს მიმართულება განვითარებას საჭიროებს. ანალოგიურად, გარე შემფასებლების გამოყენება, რომლითაც სხვა სამედიცინო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები შეაფასებენ პროგრამას მისი შინაარსის თვალსაზრისით, და სტუდენტის პროგრესს, რათა დარწმუნდნენ სტანდარტების ექვივალენტურობაში.

კლინიკური უნარების შეფასება უმთავრესად ხდება კლინიკაში საქმიანობის დროს, სადაც ხდება მათზე დაკვირვება და უკუკავშირის წარმოდგენა საქმიანობასთან დაკავშირებით. პროგრამების ხელმძღვანელმა და დეკანმა განიხილეს OSCE-ს საკითხი და როგორც სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვებისას გამოჩნდა, ეს მიმართულება განვითარებას საჭიროებს, რაც უნდა წახალისდეს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გუნდს ეცნობა იმის შესახებ, უნივერსიტეტ გეომედის პროფესორ-მასწავლებლები თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო აკადემიაში მომუშავე თავიანთ კოლეგებთან სამედიცინო შეფასების ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგის მიმართულებით. სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ორი სამედიცინო პროგრამის (ინგლისურ და ქართულ ენებზე) შეფასებები იდენტური იყო. მკაფიო არ იყო, ისინი ერთსა და იმავე დროს იქნა აღებული თუ არა, რადგან ეს სფერო რისკთან არის დაკავშირებული შეფასების საკითხის უსაფრთხოებასთან და ამგვარად, გამოცდების მიმართებაში, და გამოცდების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით.

სამედიცინო პროგრამის შემთხვევაში არ ხდება დისერტაციებისა და ნაშრომების შეფასება და დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრება N 10-ის ოქმები, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)

რეკომენდაციები:

- მეორე შემფასებლებისთვის გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა შეფასების პროცესის სამართლიანობისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შეესაბამისობაშია

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

- პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტ გეომედში სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურებები კარგად არის განვითარებული სწავლაში დახმარების და სოციალური დახმარების თვალსაზრისით. რეალურად, ყველა მოხარულია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიიჩნევს, რომ ისინი: (ა) ან ძალიან კარგად ასრულებენ სამუშაოს, ან (ბ) სტუდენტები და პერსონალი ძალიან ლოიალურად არიან განწყობილები უნივერსიტეტის მიმართ. პერსონალისა და სტუდენტების მიერ მოყვანილი მაგალითები მოიცავდა შემდეგს:

- დამატებითი სასწავლო საათები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც თვლიან, რომ პრობლემები აქვთ; აგრეთვე ხელმისაწვდომია ონლაინ ინდივიდუალური კონსულტაციები
- სამუშაო დატვირთვის მოდელის შეფასება პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტების მხარდაჭერის ჩათვლით
- უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობა, ასე, რომ ნებისმიერი პრობლემა ადვილად გვარდება. როგორც ჩანს, დეკანი, პროგრამების ხელმძღვანელები და პროფესორ-მასწავლებლები მზად არიან მოისმინონ ნებისმიერი საკითხი და ვინაიდან ეს დაწესებულება შედარებით მცირე ზომისაა, ნებისმიერი პრობლემა სწრაფად გვარდება.
- სტუდენტის დასწრების მონიტორინგი მათ სწავლისთვის ნიშნავს, რომ ფაკულტეტს შეუძლია დაადგინოს პოტენციურად დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები
- სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების სამსახურის ხელმძღვანელი პროაქტიური იყო მათი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის დახმარების მხრივ
- უცხოელ სტუდენტებს ჰყავთ ინდოელი კოორდინატორი და ჰოსტელში ხელმისაწვდომია ინდური სამზარეულო.
- ინტეგრაცია ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის სხვადასხვა ღონისძიებების (ექსკურსიები, სპორტი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებები) მეშვეობით
- ყოველ სასწავლო წელს ორი სამეცნიერო კონფერენცია, და დაწესებულია პრიზები, როგორც სტიმული სტუდენტების მონაწილეობისთვის- ბოლო კონფერენციაზე უცხოელმა სტუდენტმა დაიკავა პირველი ადგილი
- პერსონალისა და სტუდენტების მიერ საერთაშორისო კონფერენციებზე დასასწრებად ფინანსური სახსრები შეზღუდულია.

ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებით, უცხოელ სტუდენტებს კურსები ჩაუტარდებათ ქართულ ენაში და კულტურაზე, რაც მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციაში დაეხმარება. თუმცა, შეიძლება თავიდან ზოგიერთი სტუდენტი პირადად იყოს დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, ორი პროგრამის (ქართული და ინგლისური) სტუდენტები ძალიან მეგობრულები არიან და პრობლემები არ ფიქსირდება. ქართველი სტუდენტები ეხმარებიან უცხოელ სტუდენტებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი კლინიკაში გადიან პრაქტიკას. სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტ გეომედში აღიარეს, რომ ეს მიმართულება განვითარებას საჭიროებს და რომ მისი წარმომადგენლები ეძებენ პოტენციურ პარტნიორებს საქართველოში, გერმანიასა და აშშ-ში. მათ აღიარეს, რომ სურდათ, ეს გაცვლითი პროგრამები რეალური ყოფილიყო და არა მხოლოდ ქალაქზე დაწერილი, რაც ქებას იმსახურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- სილაბუსი

<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების N 09 ოქმი, 30.08.2016, რექტორის ბრძანება N175, 02.09.2016) • სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს კრება N 12-ის ოქმი, 27.11.2017, რექტორის ბრძანება N308, 27 .11.2017) • კონსულტაციების განრიგი • ვებგვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო ფაკულტეტს რეკომენდაცია ეძლევა, შეისწავლოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობებასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობა, და უზრუნველყოს, რომ ამისათვის ხელმისაწვდომი რესურსები იყოს ეფექტიანი და მდგრადი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

შეესაბამება

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შეესაბამება

არ არის შესაბამისი

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ამ პროგრამასთან მიმართებაში არ გამოიყენება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შეესაბამება

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შეესაბამება

არ არის შესაბამისი

არ შეესაბამება

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ პროგრამაში ჩართული კოლეგების რაოდენობა შეადგენს 80-ს, აქედან აფილირებული პროფესორია 22 (პროფესორი- 9, ასოცირებული პროფესორი- 7, ასისტენტ პროფესორი- 3, ასისტენტი- 3) და თანაფარდობა აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 22:58. გასულ წელს, პერსონალის საერთო დანაკარგი, ანუ პენსიაში გასული და იმ პირების რაოდენობა, რომლებმაც დაწესებულება დატოვეს (27) ახალი პერსონალის რაოდენობასთან (14) მიმართებაში.

მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი გასული 5 წლის განმავლობაში გაიზარდა: პენსიაზე გასული პერსონალის რაოდენობა და იმ პირების რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს დაწესებულება (6) და ახალი პერსონალის რაოდენობა (51)

რაც შეეხება პერსონალის კომპეტენციას, ავტობიოგრაფიის (CV) შეფასებას, ძნელია რეალურ ვითარებაში გარკვევა, რადგან ზოგიერთი CV განახლებას საჭიროებს. მაგალითად, ინფორმაცია 2011 წლის შემდეგ არ განახლებულა. ანალოგიურად, ძნელია პროფესორ-მასწავლებლების კვლევითი პოტენციალის გაანალიზება, რადგან ყველა მათგანს არ წარმოუდგენია ინფორმაცია კვლევითი პროექტის ან საქმიანობების შესახებ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან, პროფესორების ციტირების ინდექსი ძალიან დაბალია და მათ უმეტესობას გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ ჟურნალებში. არსებობენ კლინიკურად კვალიფიცირებული აფილირებული კადრები, რომლებსაც ორმაგი კონტაქტები აქვთ თავიანთ კლინიკებთან და უნივერსიტეტ გეომედთან. ჯგუფების ნაწილი ჩართული იყო სამედიცინო პროგრამის შემუშავებაში. გაურკვეველი დარჩა პერსონალის შეფარდებითი რაოდენობა.

მუდმივ კონტაქტებზე მყოფი კადრები ირჩევიან სწავლების გამოცდილების, კლინიკური სპეციალობისა და თავიანთი კვლევითი ინტერესების მიხედვით, რადგან უნივერსიტეტ გეომედს სურს, სამედიცინო ფაკულტეტზე გაზარდოს კვლევის მასშტაბი. მოწვეულ პერსონალთან კონტრაქტები ყოველ სემესტრულად ახლდება და მათი ხელფასები ეფუძნება საკონტაქტო საათებს. მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურები ისევე მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, როგორც აფილირებული და მუდმივი პროფესორ-მასწავლებლებისთვის. დასახელდა რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ სურდათ მათ აქ მუშაობა, მ.შ.

- სამუშაო დროისა და სამუშაოს მოქნილი ხასიათი
- უნივერსიტეტი გეომედი სწრაფად ვითარდება
- სტუდენტები ავლენენ ინტერესს და მათთვის სწავლება სასიამოვნო პროცესია
- უნივერსიტეტი გეომედი სთავაზობს მათი პირადი ინტერესების განხორციელების გაგრძელებისთვის თანამშრომლობის შესაძლებლობას

მოწვეული პერსონალის უმეტესი ნაწილის მთავარი პრობლემა არის სამედიცინო პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხე, რაც უკავშირდება კონტრაქტების ცვალებად ხასიათს, კერძოდ, იმას, რომ ისინი ჩართულები არიან მნიშვნელოვან კურსებში, რამაც შეიძლება მდგრადობაზე მოახდინოს ზემოქმედება. პერსონალის სხვადასხვა სახის კონტრაქტების სამუშაო დატვირთვის მოდელებთან დაკავშირებით ხორციელდება მკაფიო მართვა და ეს მოდელები გამჭვირვალეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს კრება N 12-ის ოქმი, 27.11.2017, რექტორის ბრძანება N308, 27.11.2017)
- აკადემიური/მოწვეული ადმინისტრაციული პერსონალის პირადი დოკუმენტები
- სამუშაო დატვირთვაზე პერსონალის მუშაობის რეჟიმების მითითებები სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა, და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, დანართი N 1 (აკადემიური საბჭოს კრება N 10-ის ოქმი, 27.10.2017 რექტორის ბრძანება M8 6, 27.10.2017)

რეკომენდაციები:

- აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა და მოწვეული პერსონალის რაოდენობის შემცირება სამედიცინო პროგრამის ხანგრძლივობის უზრუნველსაყოფად.
- უფრო მეტი საერთაშორისო პროფესორების მოზიდვა აფილირებული კოლეგების რანგში უნივერსიტეტ გეომედის პროფილის გასაძლიერებლად და დამატებითი საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშესაწყობად. ამას, თავის მხრივ, დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ამჟამად არსებული პროფესორების კვლევის შედეგებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ო გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით</p> <p><input type="checkbox"/> მთავარად არაა შესაბამისი</p> <p><input type="checkbox"/> მცირედ არაა შესაბამისი</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არაა შესაბამისი</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დეკანმა და უნივერსიტეტის მმართველმა გუნდმა იცინა, რომ სამედიცინო განათლება გახდა ცალკე აღებული დამოუკიდებელი დისციპლინა და ისინი თანამშრომლობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან რეკომენდაციების შესამუშავებლად სამედიცინო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით და ეს ქების ღირსია. აშშ-ს შეკითხვების ბანკების გამოყენება ონლაინ შეფასებებისთვის, ისევე, როგორც გადაწყვეტილება OSCE-ეს შემოღების შესახებ ქებას იმსახურებს. გამოითქვა ვარაუდი, რომ უნარების ფლობის შეფასებაში გამოყენებული იქნეს 4-საფეხურიანი OSCE, რომელიც ხელახლა იქნებოდა შემოწმებული, რადგან რეკომენდებულია რჩევის მიცემა საფეხურების რაოდენობასა და გამოცდის ხანგრძლივობაზე შეფასების სანდობასა და ვალიდურობაში დასარწმუნებლად. კოლეგებთან განხილვის შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ შემდეგი საკითხების განვითარებაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლისა და სწავლების შედეგები, • ერთ სწორი პასუხის მქონე შეკითხვებზე პასუხის გაცემა ონლაინ შეფასებისთვის • OSCE საფეხურის წერა • OSCE-ის გამომცდელები, რომლებსაც გავლილი აქვთ სწავლება ამ სახის შეფასებაში. <p>ეს განხილვები სასარგებლო იყო და ჩვენ რეკომენდაციას ვამღებთ სამედიცინო ფაკულტეტს, გაზარდოს თავისი უნარები ამ სფეროში, რადგან სამედიცინო განათლების</p>

<p>სფეროში დასაქმებულ სპეციალისტები მზად არიან, თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გაუზიარონ.</p> <p>დაწინაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს უნივერსიტეტის საბჭო. ამჟამად მოქმედებს პროფესორ-მასწავლებლების შეფასებისა და დაწინაურების სისტემა, რომლის შედეგად შეიძლება იყოს მატერიალური წახალისება. ეს მოიცავს სამეცნიერო ნაშრომების, წიგნებისა და მონოგრაფიების ავტორობას, კონფერენციებში მონაწილეობას და პრეზენტაციების გაკეთებას, სამეცნიერო გრანტების მოპოვებას, გაცვლით პროგრამებს, და მოიცავს სტუდენტებს კვლევით პროექტში. დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებები აგრეთვე მიიღება სწავლების გამოცდილების წლების მიხედვით, ხარისის უზრუნველყოფის შესახებ გამოკითხვების დროს სტუდენტების მოსაზრების გათვალისწინებით. ეს იანგარიშება ქულათა სისტემით, რომელიც არის სამართლიანი, და მოიცავს დაწინაურებისა და მოტივაციის მეთოდებს, მაგ. მატერიალურ წახალისებას, თუმცა, ეს არის ახალი სისტემა, რომელიც ბოლო 6 თვეა, რაც მოქმედებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური). • სწავლების, შიდა და გარე მექანიზმების ხარისხის შეფასება (აკადემიური საბჭოს კრება N 10-ის ოქმი, 27.10.2017, რექტორის ბრძანება M86, 27.10.2017) • საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დეკანი და სამედიცინო პროგრამის მართვის გუნდი განაგრძობენ სამედიცინო სფეროში განათლების იმ ექსპერტებთან მუშაობას და მათი წრის გაფართოებას, რომლებიც რეკომენდაციებს იძლევიან პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით, სწავლისა და სწავლებისა და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით. აგრეთვე, სასარგებლო იქნებოდა მედიცინის ახალ, განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რადგან თქვენი პროფესორ-მასწავლებლები (კლინიკური და არა-კლინიკური) რეგულარულად გადიან მომზადებას სამედიცინო განათლების სფეროში • OSCE-ს ყველა მკვლევარი საჭიროებს მომზადებას ამ სახის შეფასებაში იმისათვის, რათა პროცესი იყოს სანდოც და ვალიდურიც.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძალზედ რეკომენდირებულია გაიზარდოს OSCE-ს გამომცდელთა შემადგენლობით დაკომპლექტება ადეკვატური რაოდენობის ხელმისაწვდომობის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო პროგრამის დეკანი დახელმძღვანელობს შექმნას იმსახურებს იმ სამედიცინო განათლების სფეროს ექსპერტების მოხიების გამო რომლებიც რეკომენდაციებს იძლევიან პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

მუდმივად შეესაბამება

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ახლად შექმნილი სამედიცინო პროგრამა სწრაფად განვითარდა და მასში ასახულია სამედიცინო განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. რადგან ეს შედარებით მცირე ზომის დაწესებულებაა, განათლების მიწოდების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებების შესახებ შეთანხმების სწრაფად მიღწევა შესაძლებელია. სტუდენტებს ეძლევათ ორიენტაცია სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული საშუალებების შესახებ, აგრეთვე წვდომა ინტერნეტზე როგორც სასწავლებლის ტერიტორიაზე, ისე დისტანციურად.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვიზიტად მყოფ ჯგუფზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლინიკური უნარების საშუალებებმა მოდელებისა და კლინიკურ უნარებზე დაკვირვების დასათვალისწინებელი კამერების თვალსაზრისით. კლინიკური უნარების ლაბორატორების სათანადოდაა აღჭურვილი, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, უნარ-ჩვევები შეიძინონ კლინიკურ გარემოში მოხვედრამდე და პაციენტებთან კონტაქტის დამყარებამდე. სტუდენტებს აგრეთვე შეუძლიათ გამოიყენონ კლინიკური უნარების ლაბორატორიები იმ კლინიკებში, სადაც ისინი სწავლობენ.

გარკვეული ლაბორატორიები სხვადასხვა ხნოვანებისაა, მაგალითად, ქიმიის ლაბორატორიები საკმაოდ მოძველებულია. თუმცა, განახლებული კავშირის გამოყენება ეკრანზე საჩვენებელ სასწავლო მიკროსკოპებს შორის სტუდენტებისთვის მიკროსკოპის გამოყენების სწავლებისთვის ძალიან მისაღები იყო.

პათოლოგ-ანატომიური ლაბორატორიები და მეთოდოლოგიები სტუდენტებისთვის ანატომიის შესასწავლად შეიძლება გაუმჯობესდეს ტექნიკური საშუალებების გაზრდით და ინტერაქტიურ და მცირე ჯგუფში მუშაობაზე უფრო მეტი წვდომის უზრუნველყოფით. სემინარების ოთახები განსხვავებულია, ზოგიერთი მათგანი ახალია, აღჭურვილი თანამედროვე ინტერაქტიული დაფებით, ხოლო ზოგიერთ მათგანი კი განახლებას საჭიროებს.

ჩვენს მიერ ნანახი საკონფერენციო ოთახები განსხვავებულია როგორც უნივერსიტეტში, ისე რეგიონულ საავადმყოფოში- ისინი საკმარისად ფართოა და კეთილმოწყობილი

სტუდენტების სწავლებისთვის. შეთავაზებული სამედიცინო კლინიკის შესახებ გეგმებზე წარმოდგენის შესაქმნელად, ჩვენ დავათვალიერეთ იმ სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობილობები, სადაც სტუდენტებს ასწავლიან.

ლიფტის სისტემა კარგი საშუალებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო საშუალებებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

საბიბლიოთეკო რესურსების მეშვეობით, სტუდენტებს აქვთ წვდომა სასწავლო მასალებთან (წიგნები, ჟურნალები, მონაცემთა ბაზები), მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მონაცემთა ბაზების მეშვეობით არსებობს წვდომა თანამედროვე ლიტერატურასა და სამედიცინო სფეროში არსებულ მიღწევებზე, ჟურნალებში დაბეჭდილი ზოგიერთ სტატიაზე თავისუფალი წვდომა არ არსებობს. შესაბამისად, აკადემიურმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის რეკომენდებული საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა, რათა ეს არ იქცეს სტუდენტის პრობლემად.

რაც შეეხება ბიბლიოთეკისა და სწავლის რესურსებს, მათი დიდი ნაწილი სტუდენტებისთვის ონლაინ არის ხელმისაწვდომი, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო მასალებზე წვდომა დისტანციურად მოიპოვონ. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა უკავშირდება პროფესორ-მასწავლებლებს ბიბლიოთეკის ფონდებისა და მონაცემთა ბაზების განახლებასთან დაკავშირებით, და მათ შეკითხვებს უსვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რისი შედეგია იქნებოდა უმჯობესი. ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ხდება ზოგიერთი წიგნის ასლების გადაღება, რათა მოხდეს მათი ბიბლიოთეკიდან გატანა ან ადგილზე გამოყენება და თუმცა, ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ საავტორო უფლებები არ ირღვევა, ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს საერთაშორისო საავტორო უფლებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. სამედიცინო ჟურნალებზე უმთავრესად არსებობს ონლაინ წვდომა- მათი დაახლოებით 20% ინგლისურენოვანია და დანარჩენი- ქართულ ან რუსულ ენოვანი. მკაფიო არ იყო, რამდენი სამედიცინო ჟურნალი არის ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე. შევთანხმდით, რომ ბიბლიოთეკები, წიგნებისა და ჟურნალების კუთხით, საჭიროებს გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მასალების სიცოცხლისუნარიანობა და მიზნისათვის ვარგისიანობა. თუმცა, ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ სტუდენტებს შეეძლოთ დისტანციური წვდომა ბიბლიოთეკაში ამჟამად არსებულ რესურსებზე. თუმცა, ვიზიტად მყოფმა გუნდმა მიიჩნია, რომ სამედიცინო სახელმძღვანელოები და ჟურნალი ძალიან ძვირია, ამის მიუხედავად, უნივერსიტეტ გეომედის რეპუტაციისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ გულდასმით შეისწავლიდა ამ რესურსებს და გაზრდიდა მათგან საჭირო რესურსების მოცულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- ბიბლიოთეკის დებულება (აკადემიური საბჭოს კრება N 08-ის ოქმი, 04.08.2017, რექტორის ბრძანება N190, 04.08.2017)

<ul style="list-style-type: none"> • შესყიდვის დოკუმენტაცია (იხილეთ საბუღალტრო დოკუმენტაციაში) • კონტრაქტი შპს ინოვაციური სისტემების მართვასთან ელექტრონულ მონაცემთა ბაზის EBSCO პაკეტზე • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლაბორატორებისა და ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებითა და ხელმისაწვდომი ჟურნალებით, ონლაინ წვდომის ჩათვლით, სტუდენტის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტი მკაფიობაა საჭირო ფაკულტეტებისთვის გამოყოფილი საბიბლიოთეკო ბიუჯეტის ირგვლივ, საჭიროა უფრო გამჭვირვალე სისტემა რესურსების შერჩევისა და განაწილებისთვის.

<p>საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტში, ისე დისტანციურად.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით</p> <p><input type="checkbox"/> მთლიანად არ შეესაბამება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაა მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისი</p>

<p>4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტი გეომედის დაფინანსების ძირითადი წყაროებია სტუდენტების გადასახადები და სახელმწიფო გრანტები. სხვა ფინანსური სახსრები მიიღება კომერციული საქმიანობიდან, მაგალითად, შენობა-ნაგებობების გაქირავებიდან, და მცირე შემოსავალი სტომატოლოგიური კლინიკიდან.</p> <p>საერთო ბიუჯეტის განაწილება ხდება სტუდენტების რაოდენობის მიხედვით (ერთ ქართველ სტუდენტზე 3500 ლარი და ერთ უცხოელ სტუდენტზე- 3500 აშშ დოლარი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ბიუჯეტს გარკვეული ნაწილი ჩამოჭრილი აქვს ხელფასებისთვის, ინფრასტრუქტურისა და დაზღვევისთვის, ხოლო დანარჩენი კი ნაწილდება ფაკულტეტზე. თუმცა, როგორც ჩანს, სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს და მმართველ გუნდს არ გააჩნია ავტონომია ბიუჯეტთან მიმართებაში. ამიტომ, მათ საჭირო ფინანსური სახსრები უნდა მოითხოვონ ფინანსური განყოფილების უფროსისგან, რომელიც შემდეგ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სახსრების გამოყენების შესახებ.</p> <p>კვლევისა და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციებზე დასასწრებად გამოიყოფა ბიუჯეტი, თუმცა, განაწილების სისტემა არ არის გასაგები. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მოგების დაახლოებით 20% იყო ის მოგება, რომლის რეინვესტირება ხდებოდა უნივერსიტეტის განვითარების მიზნით. თუმცა, რადგან ფინანსური სახსრების განაწილების ფორმულის დეტალები უცნობია, ძნელი იყო იმის დადგენა, სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტის პუნქტები არის თუ არა (ა) ეკონომიკურად რენტაბელური, და (ბ)</p>

ეფექტიანი უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული ფაკულტეტის ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსება საკმაოდ მწირია: – მოგების 1.5%, სასწავლო მასალა – მოგების 0.75%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- ფაკულტეტის ბიუჯეტის დეტალები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტი გეომედის მიერ იმის უზრუნველყოფა, რომ მოქმედებდეს ფინანსური ანალიზის სისტემა, შესაბამისად, მოგების მიმღები და სააღრიცხვო განყოფილებებისთვის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებისთვის, და საჭიროა დეკანების უფრო ფართო ავტონომია ბიუჯეტირების პროცესში.
- რენტაბელობის ანალიზის განხორციელება ფინანსურ მართვასა და ანგარიშგებაში გამჭვირვალობის დასადასტურებლად, ფაკულტეტის დონეზე ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

შეტყობინება და ობა შია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ არ არის შესაბამის

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვიზიტისთვის დაიწერა ასეისმური და პროფესიული მომსახურებების მიმწოდებელი დაინტერესებული მხარეების მიერ.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით ვიზიტად მყოფი გუნდი შეხვდა სამედიცინო ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, მ.შ. დეკანს, პროგრამების ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, იმ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც სამედიცინო პროფილის სტუდენტებს ასწავლიან პროგრამის ფარგლებში. ცხადი იყო, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხდება რეგულარულად და ადრე ქაღალდზე დაბეჭდილი კითხვარის ნაცვლად ახლა იყენებენ მის ონლაინ ფორმატს და ის ივსება გამოცდების დაწყებამდე საგამოცდო ცენტრში. გამოკითხვების დროს ფასდება სამედიცინო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები- გამოკითხვის შედეგები ფასდება, ხდება მასზე ანგარიშის წარდგენა და განხილვა. ამ გამოკითხვების დროს სტუდენტებისგან მიღებული უარყოფითი ხასიათის ინფორმაცია სერიოზულად მიიღება, და სათანადო შესწორებები ხდება არსებული პრობლემის შესაბამისად, მაგალითად, ხდება დახმარების გაწევა ფაკულტეტის საქმიანობის გასაუმჯობესებლად (პერსონალის ერთი წევრი დაითხოვეს გამოკითხვების დროს სისტემატიური უარყოფითი შეფასებების გამო). არსებობს პროფესორ-მასწავლებლების პედაგოგიური საქმიანობის შეფასების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფისას აგრეთვე გათვალისწინებულია როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგების დასწრება და პუნქტუალობა.

სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანებული სტუდენტები აგრეთვე არიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები და მათ შეუძლიათ პროფესორ-მასწავლებლებისთვის შეფასებითი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ და პრობლემების წამოჭრა უნივერსიტეტთან და სწავლის პროცესთან დაკავშირებით.

აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები შეფასების შესახებ ანონიმურ გამოკითხვებში მონაწილეობენ ხარისხის შიდა შეფასების ფარგლებში, შემდეგ კი ხდება მიღებული შედეგების გათვალისწინება პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით. ანალოგიურად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემადგენელ ნაწილად აგრეთვე მიიჩნევა სტუდენტთა რანჟირება შუალედური ქულის მიხედვით აკადემიური მოსწრების, საბოლოო გამოცდის შედეგის თვალსაზრისით. ჩვენ მოგვაწოდეს

ინფორმაცია, რომ შედეგები გამოიყენებოდა პროგრამის ანალიზის ფარგლებში მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობის საშუალებად. თუმცა, გაურკვეველად რჩება, როგორ ხდება ყველა ამ შედეგის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და გამოყენება სრულყოფის მიზნით, ასე, რომ რეკომენდებულია ამ უკუკავშირის ჯაჭვების დასრულების მკაფიო მეთოდი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
 - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
 - პროგრამის შეფასების ინსტრუქცია და გამოთვლის შეფასების ინსტრუქცია,
 - სწავლების ხარისხის, შიდა და გარე მექანიზმების შეფასება (აკადემიური საბჭოს კრების N10 ოქმი, 20. 10. 2017, რექტორის ბრძანება N286, 28.10.2017)
 - ბაკალავრის ხარისხისა და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა, და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი შეფასების პროგრამა, დანართი N 1 (აკადემიური საბჭოს კრების N10 ოქმი, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)
 - გამოყენების/კითხვარის შედეგები
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი N 10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება # 286, 27.10.2017)

- რეკომენდაციები:**
- პროგრამის შეფასებისა და სრულყოფის მიზნით სტუდენტებისგან, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან მიღებული მონაცემების ანალიზის მეთოდების შემდგომი განვითარება.
 - არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

ძალიან ცუდი

ცუდი

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კარგი

ძალიან კარგი

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი
 სამედიცინო პროგრამა აკრედიტებულ იქნა და შეფასდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ 2013 წელს. ამ პროგრამის შემუშავებისას, აშშ-სა და გერმანიიდან მოწვეულმა საერთაშორისო პროფესორებმა შეაფასოს და რეკომენდაცია წარმოადგინეს მედიცინის უფრო მეტად ინტეგრირებული კურიკულუმის ცვლილებებთან დაკავშირებით. პროგრამის დეკანი და ხელმძღვანელი აგრეთვე მუშაობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან, რომლებიც ეხმარებიან მათ ფაკულტეტის განვითარებასა და პროფესორ-მასწავლებლების მომზადებაში. უნივერსიტეტი გეომედი არ იყენებს გარე შემფასებლებს, ასე, რომ არ არსებობს მკაფიო მიმართულება სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულების ცოდნის დონეების შედარებასთან დაკავშირებით.

სამედიცინო პროგრამა (ინგლისურენოვანი) არის ახალი პროგრამა და ის დაიწყო სუფთა ფურცლიდან და შესაბამისად, იყენებს მედიცინის ეროვნულ დარგობრივ სტანდარტებს. არსებობს ის სფეროები, რომლებიც გარკვეულ ყურადღებას საჭიროებენ, მაგალითად, სამედიცინო განათლების ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ სწავლებისა და შეფასების პროცესში, თუმცა, პროგრამის გუნდი და დეკანი საქმის კურსში არიან და მუშაობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად საჭირო ცოდნის მისაღებად და ეს უნდა წახალისდეს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
 - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
 - აკრედიტაციის წლიური ანგარიში

- რეკომენდაციები:**
- ფაკულტეტის მიერ სწავლებისა და შეფასების მიმართულებით სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა.
 - უფრო მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის მოწვევა უნივერსიტეტი გეომედის კურსდამთავრებულების კომპეტენციის თავიანთი ქართველი კურსდამთავრებულების კომპეტენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

<input type="checkbox"/>	მთავარად
<input type="checkbox"/>	მეტწილად
<input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დროს გაირკვა, რომ პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, განვითარების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის სამუშაო გეგმის, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის გამოყენებით. სასწავლო პროცესის გაუმჯობესება იგეგმება კვლევის შედეგების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება დარგობრივი უნარების შედეგების მონიტორინგის ინსტრუქციით, სადაც შედეგს აქვს დადებითი შეფასება (ძალიან კარგი, კარგი) ან სადაც პროგრამაში საჭიროა ცვლილებების შეტანა, თუ შედეგი არის დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სპეციალობის უნარების მიმართულებით მიღწევების მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის დასასრულს, შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

თითოეული სპეციალობის კომპეტენცია და ყველა სხვა ვერტიკალური და ჰორიზონტალური კომპეტენცია ფასდება თითოეული სასწავლო წლის დასასრულს, თითოეული შეფასება არის ინდივიდუალური (იხილეთ კომპეტენციების შეფასების ნუსხა).

- 3 ქულა- 70-100% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა A-თი
- 2 ქულა- 30-69% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა B-თი
- 1 ქულა- 10-29% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა C-თი

თითოეული სპეციალობის ცოდნა და ყველა სხვა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ცოდნა ფასდება 6 წლის განმავლობაში, თითოეული შეფასება ინდივიდუალურია (იხილეთ ცოდნის შეფასების ნუსხა).

- 3 ქულა- 70-100% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა A-თი
- 2 ქულა- 30-69% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა B-თი
- 1 ქულა- 10-29% სტუდენტებისა რეგისტრირებულია სასწავლო კურსზე ერთი კომპეტენციის შედეგისთვის ერთი წლის განმავლობაში შეფასდა C-თი

პროგრამა შეიძლება შეფასდეს მე-6 სასწავლო წლის დასასრულს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. 165-210 ქულა - ძალიან კარგი
2. 120 - 164 ქულა - კარგი
3. 70 - 119 - დამაკმაყოფილებელი
4. 70 ქულაზე ნაკლები ჩაითვლება, როგორც უარყოფითი შეფასება.

სამედიცინო პროგრამას (ინგლისურენოვანს) ჯერ არ გამოუშვია თავისი კურსდამთავრებულების პირველი ნაკადი- ეს მოხდება 2019 წელს. პროგრამის განხორციელებისას ეროვნულ სტანდარტებში განხორციელდა ცვლილებები, რომლებთან შესაბამისობაც 2019 წლის იანვრისთვის უნდა დაადასტუროს საქართველოში მოქმედმა ყველა სამედიცინო სასწავლებელმა.

როგორც ჩანს, უნივერსიტეტი გეომედი ახორციელებს ცვლილებებს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მონიტორინგის საპასუხოდ, რაც უკავშირდება პროფესორ-მასწავლებლებთან გამართული განხილვებისა და სტუდენტების გამოკითხვიდან მიღებულ შედეგებს. დეკანისთვის, პროგრამების ხელმძღვანელისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ცნობილია, რომ არსებობს სამედიცინო განათლების ახალი მეთოდები სწავლებისა და შეფასებისთვის და ისინი ამჟამად ამ მეთოდის მიღების პროცესში იმყოფებიან. თუმცა, ცხადია, რომ იმის მიუხედავად, რომ მათი გარე საერთაშორისო ექსპერტები ეხმარებიან, მათ ესაჭიროებათ სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტები, რომლებიც მათ დაეხმარებიან კლინიკური შეფასებების განხორციელებაში, OSCE-ის მსგავსად.

კოლეგების მიერ პროფესორ-მასწავლებლების მიერ სწავლების პროცესზე დაკვირვებასთან დაკავშირებით, გაურკვეველია მისი მასშტაბი.

სტუდენტები ფასდებიან კურსის ფარგლებში და კურსის დასასრულს გამოცდებზე მათი სავალდებულო კომპონენტების მიხედვით, და თავად კურსი აგებულია დარგობრივი სტანდარტის შესახებ განაცხადების საფუძველზე.

ნამდვილად არსებობს საჭიროება უნივერსიტეტში და ქვეყნის მასშტაბით, რომ გარე შემფასებელი აფასებდეს დარგში გაცემული დიპლომების შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- საბაკალავრო ხარისხისა და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი განათლების პროგრამა, დანართი N 1 (აკადემიური საბჭოს კრების N10 ოქმი, 27.10.2017 რექტორის ბრძანება 286, 27.10.2017)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომა N 10-ის ოქმი, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286 , 27.10.2017)

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის მონიტორინგის უფრო ზუსტი მექანიზმის შემუშავება გარე მკვლევარების, აგრეთვე მეორადი შემფასებლების გამოყენებით სტუდენტების ცოდნისა და უნარების ხარისხის შეფასების უზრუნველსაყოფად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
-
-

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებ			X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი პროგრამა)

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა პროფესორი ოლვინ ვესტვუდი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სახელი, გვარი, ხელმოწერა ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა დოქტორი ნიკოლოზ გვაზავა